Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№23, იანვარი, 2023

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების საჭიროებათა კვლევა

მარიამ ბურჯანაძე

ქეთევან ტატიშვილი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariami.burjanadze529@sps.tsu.ge

ketevan.tatishvili545@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

უნივერსიტეტის დასრულებისა და სამსახურში ტრანზიციის პროცესი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრებაში. სწავლის დამამთავრებელ საფეხურზე ხშირად თავს იჩენს ახალი გამოწვევები და საჭიროებები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესთან, ასევე დასაქმებისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური მუშაობა საქართველოში ახალბედა პროფესიაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა კი, ერთადერთია ქვეყანაში და შესაბამისად, უნივერსიტეტი დიდ როლს ასრულებს პროფესიის განვითარებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მუშაობა პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესიაა და კანონის მიხედვით, მხოლოდ ბაკალავრის ხარისხის ან შესაბამისი სერტიფიკატის მოპოვების შემდეგ არის შესაძლებელი სოციალურ მუშაკად დასაქმება. გამოცდილების ნაკლებობისა და გაზრდილი პასუხისმგებლობების ფონზე, რთულდება თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაზე მორგება. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რა საჭიროებები და გამოწვევები იჩენს თავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა ცხოვრებაში. მოცემული კვლევა მოიცავს იმ ასპექტებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები - ფოკუსჯგუფი და სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 22-მა რესპონდენტმა. აღნიშნული რიცხვი წარმოადგენს 2022-2023 სასწავლო წელს დამამთავრებელ კურსზე რეგისტრირებულ სტუდენტთა 50 პროცენტს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა მრავალფეროვანი საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება საგნების მცირე რაოდენობას, სამსახურისა და ლექცია-სემინარების შეუთავსებლობას, საკითხავი მასალების ადაპტირებასა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და წინასწარგანწყობებს.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტთა საჭიროებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულისირთულეები, დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მხარდაჭერა, სოციალური მუშაობის პრაქტიკა.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

სოციალური მუშაობა არის პროფესია, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდების, ჯგუფების, საზოგადოებების დაცვას, მათი სოციალური ფუნქციონირების ამაღლებასა და პოტენციალის სრული რეალიზაციის უზრუნველყოფას (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011). თანამედროვე სამყაროში ცნობადობა სოციალური მუშაობის პროფესიის შესახებ უფრო და უფრო იზრდება, ამასთანავე იზრდება პროფესიის როლი საზოგადოებაში. სოციალური მუშაობის სერვისებზე მოთხოვნა იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად კომპლექსურია ადამიანთა საჭიროებები. 21-ე საუკუნეში არსებული სოციალური სერვისები კი ინდივიდთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზეა მორგებული (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011). აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარება ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმით დაიწყო, 2000 წლიდან 25-მდე ადამიანმა მიიღო სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. სწორედ მათ დააარსეს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და აკადემიური პროგრამები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ღია საზოგადოების ფონდი, 2015). განსაკუთრებით ბოლო წლებში ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ სოციალური მუშაობის პროფესიის გაცნობისა და შესწავლის მიმართ. თავის მხრივ, პროფესიით ახალგაზრდების დაინტერესებაში დიდ როლს ასრულებს უნივერსიტეტი და სხვა სასწავლო დაწესებულებები. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა ერთადერთია ქვეყანაში. 2022 წლის მიმდინარე სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების დამამთავრებელ კურსზე ირიცხება 44 სტუდენტი. ეს მაჩვენებელი იზრდება ყოველწლიურად. საინტერესოა, რამდენად აწვდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სათანადო ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის. საკითხი აქტუალურად მივიჩნიეთ პროფესიის გლობალური ცნობადობისა და ღირებულების გამო, უპირველესად მნიშვნელოვანია იმ საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლებიც სოციალური მუშაობის სტუდენტებს აქვთ.

განსაკუთრებით ყურადღებას ვამახვილებთ სოციალური მუშაობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებზე, რადგან ისინი სწავლის პროცესისა და ცხოვრების ახალ სტილთან ადაპტაციის პროცესში სრულიად განსხვავებულ გამოწვევებს აწყდებიან. მათი აზრი და წუხილები ხშირად რჩება უთქმელი, შესაბამისად, ვერ ხერხდება არსებული პრობლემების მოგვარება. შედეგად, მნიშვნელოვანია ვკონცენტრირდეთ არსებულ სირთულეებზე, ჩამოვაყალიბოთ მათი გადაჭრის გზები, რათა სწავლის პროცესი ამჟამინდელი და მომავალი სტუდენტებისთვის გავხადოთ მეტად პროდუქტიული. რადგან მეოთხე კურსი ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წელია და ისინი იმყოფებიან ცხოვრების გარდამავალ ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ მათი საჭიროებების კვლევა, პრობლემების იდენტიფიცირება და საკითხისადმი ცნობიერების ამაღლება მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია. საინტერესოა იმის კვლევა, თუ როგორ ამზადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალური მუშაობის სტუდენტებს პროფესიულ სფეროში ადგილის დამკვიდრებისთვის.

აღსანიშნავია სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამის სპეციფიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტებს საშუალება აქვთ პრაქტიკა გაიარონ სოციალური მომსახურების მქონე სხვადასხვა ორგანიზაციაში ექვსი სემესტრის განმავლობაში. იმის მიუხედავად, რომ სტუდენტები ამ დროის განმავლობაში უკეთ ეცნობიან პროფესიას, იძენენ ახალ უნარებს, მაინც რთულია პრაქტიკანტი სტუდენტიდან სოციალური მუშაკის პოზიციაზე გადასვლის პროცესი. 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც იკვლევდა იტალიაში, ინგლისსა და შვედეთში სტუდენტების ტრანზიციას საუნივერსიტეტო პრაქტიკიდან პროფესიულ სფეროზე, დადგინდა, რომ სტუდენტების უმრავლესობა საკუთარ თავს აღიქვამს არაკომპეტენტურად და გამოუცდელად, მიუხედავად პრაქტიკული კურსების გავლისა (Frost, et al., 2013). სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს მსგავს გამოცდილებას, რაც საკითხის გლობალურ აქტუალურობაზეც მიუთითებს. სოციალური მუშაობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების საჭიროებების შესწავლით შევძლებთ დავადგინოთ, თუ რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი ტრანზიციის პროცესის გამარტივებას. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესოა ზემოთხსენებული ქვეყნების კვალდაკვალ საქართველოს მაგალითის განხილვა - კონკრეტულად კი თსუ-ს სტუდენტების გამოცდილების გაგება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წინამდებარე კვლევას აქვს პრაქტიკული ღირებულება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებისთვის. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოვიყენოთ, როგორც მტკიცებულება სოციალური ადვოკატირებისა და სასურველი ცვლილებების ინიცირების მიზნით, რადგანაც კვლევა ავლენს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია განათლების ხარისხის ამაღლებისა და სტუდენტებისთვის საჭირო მხარდაჭერის მიზნით.

ლიტერატურის მიმოხილვა

განათლებაზე ხელმისაწვდომობა პიროვნების ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 26-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს თანაბარ ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე, რომელიც მიმართულია პიროვნების განვითარებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ (United Nations, 1948). განათლების სისტემის სრულყოფა მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ადამიანური კაპიტალის ფორმირების მიზნით. აღნიშნული მიზნების მიღწევაში გადამწყვეტია უმაღლესი განათლების როლი, რადგანაც სწორედ უმაღლესი განათლების სისტემა ამზადებს ქვეყნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა უმთავრეს წილს. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების სისტემა ყოველწლიურად ფართოვდება. მსოფლიო მასშტაბით, ბოლო 20 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართული სტუდენტების რიცხვი გაორმაგდა და 2018 წლის მონაცემებით, შეადგენს 38%-ს (Vieira et al., 2020). აღნიშნული ტენდენცია ეფუძნება იდეას, რომ უმაღლესი განათლება ხელს უწყობს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. იგი განიხილება, როგორც „ეკონომიკის ძრავა", რომელიც ახალი ცოდნის შექმნის გზით განაპირობებს სასიკეთო ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებების

პარალელურად, განისაზღვრა უმაღლესი განათლების ეფექტურობის საზომი, რომელიც მოიცავს ორ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. პირველი ფაქტორია უმაღლესი განათლების უკუგება, რაც გულისხმობს უმაღლეს განათლებაზე გაწეული ინვესტიციებისა და შედეგად მიღებული სარგებლის შედარებას, ხოლო მეორე ფაქტორი აფასებს ფარდობით სარგებელს განათლების დონეების მიხედვით და ადარებს, რამდენად იზრდება პირთა შემოსავალი და დასაქმების შესაძლებლობა უმაღლესი განათლების მიღების შედეგად (განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების კუთხით ცვლილებები იწყება 2005 წლიდან, როცა ქვეყანა შეუერთდა ბოლონიის პროცესს და აიღო ვალდებულება, რომ უმაღლესი განათლების სისტემა დაუახლოვდებოდა ევროპული განათლების სტანდარტებს (საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2018). ამავე პერიოდიდან ქვეყანა აქტიურად ჩაერთო უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში. გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ გარკვეული პროფესიის დაუფლება, არამედ საერთაშორისო ღირებულებების გაზიარება და სტუდენტების საერთაშორისო საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბება. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი გახდა საერთაშორისო პროექტებისა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2022) მონაცემებით, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან საზღვარგარეთ გაგზავნილ სტუდენტთა საერთო მაჩვენებელი შეადგენდა 484 სტუდენტს, ხოლო საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების საერთო რიცხვი შეადგენდა 17 501 სტუდენტს. გაცვლით პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა განაპირობებს სასწავლო მეთოდების დახვეწას და აუმჯობესებს განათლების ხარისხს. ქართველ სტუდენტებში ჩატარებული კვლევის თანახმად, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მთავარ მოტივაციას წარმოადგენს უკეთესი განათლების მიღების სურვილი, კვალიფიკაციის ამაღლება, კარიერული წინსვლის გაზრდილი პერსპექტივა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობის მოპოვება ადგილობრივ შრომით ბაზარზე (ბაბილოძე, 2017). ამასთანავე, საქართველოს განათლების სისტემაში გატარდა გარკვეული რეფორმები, რომელთა მიზანია ევროპული განათლების ძირითადი პრინციპების დანერგვა და ადგილობრივი პრაქტიკის გაუმჯობესება. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (2020) მიერ ქვეყანაში განხორციელდა ევროპული განათლების სივრცის მხარდაჭერის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და პილოტირებას, სტუდენტებთან კომუნიკაციის სტილისა და დამოკიდებულებების გაზიარებას "კოლეგებთან სწავლის" (ე.წ "peer-learning") პირობებში.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემის დახვეწა ქვეყნის პოლიტიკის მთავარი ღერძია. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, სხვადასხვა კონტექსტში ვლინდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სირთულეები და სტუდენტთა საჭიროებები. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა უკავშირდება სკოლიდან უნივერსიტეტში ტრანზიციის პირველ ეტაპს, როდესაც სტუდენტებს უწევთ ახალ გარემოსთან ადაპტაცია. კვლევის თანახმად, პირველი კურსის სტუდენტების შემთხვევაში ვლინდება სირთულეები კარიერული გაურკვევლობის, სწავლების ახალი მიდგომებისა და უნარების, წარუმატებლობის შიშისა და ახალ სოციალურ გარემოსთან შეგუების პროცესში (Brooker et

al., 2017). წარმატებული ტრანზიციისთვის უმთავრესია სტუდენტები იყვნენ წინასწარ ინფორმირებული და ჰქონდეთ სწორი მოლოდინები უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ, ასევე მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ლექტორების მხრიდან მხარდაჭერა და მათი წახალისება (McGhie, 2017). გარდა ამისა, უნივერსიტეტში ჩაბარების შემდგომ, სტუდენტების დიდ ნაწილს უწევს საცხოვრებელი ადგილის დატოვება და სასწავლებლად სხვა ქალაქში გადასვლა. აღნიშნული გამოწვევა შეეხება ადგილობრივ კონტექსტსაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2020) მონაცემებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესი ნაწილი (60%) დედაქალაქშია განთავსებული, რაც დამატებით უკავშირდება საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ურბანულ გარემოსთან სოციალიზაციის, ფინანსური სირთულეებისა და ოჯახის წევრებისგან განცალკავების თანმხლებ პროცესებს (ჩხატარაიშვილი და სხვები, 2019). საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ აქტივობებში. აკადემიურ ნაწილში ძირითადი გამოწვევები უკავშირდება ინდივიდუალური მიდგომების არარსებობას, შეფასების სისტემას, სტუდენტსა და ლექტორს შორის ურთიერთობასა და ლექტორების მოლოდინებს (Fook & Sidhu, 2014).

მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, ადგილობრივ კონტექსტში კვლავ გამოწვევად რჩება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა სოციალური ინტეგრაცია უნივერსიტეტებში. თავს იჩენს ენობრივი ბარიერები და სტიგმა, რომელიც ართულებს ქართველ თანაკურსელებთან ურთიერთობას (აბაშიძე, 2017).

ასევე, მსოფლიო მასშტაბით აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმება. ძირითადი პრობლემა უკავშირდება გამოცდილების ნაკლებობასა და დროებით კონტრაქტებს, რის გამოც ახალგაზრდები, ზრდასრულ ადამიანებთან შედარებით, გაზრდილი რისკის ქვეშ იმყოფებიან სამსახურიდან მოულოდნელად გათავისუფლების თვალსაზრისით (Dietrich, 2012). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2021) მონაცემებით, 20-24 წლამდე პირთა უმუშევრობის დონე ქვეყანაში შეადგენს 41%-ს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან რიცხვს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობა უნივერსიტეტის დასრულების ადრეულ ეტაპზევე. კვლევის თანახმად, სწორედ ამ ეტაპზე შეუძლია ადამიანს საუკეთესოდ ადაპტირდეს სამუშაო ადგილზე, აითვისოს ახალი უნარები და გაუმკლავდეს სამსახურთან დაკავშირებულ სტრესს (Hay, 2012).

მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად შეესაბამება უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული ცოდნა დასაქმების ბაზრის ძირითად მოთხოვნებს. ხარისხიანი განათლების უმთავრესი პირობა სწორედ იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენაა, რომლებიც განაპირობებს ადამიანური კაპიტალის წვლილს ქვეყნის ეკონომიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტების (2017) მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (46%) მიაჩნია, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მხოლოდ მეტ-ნაკლებად შეესაბამება დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა მხარდაჭერა მაშინ, როდესაც განვიხილავთ პრაქტიკული ხასიათის პროფესიას. სოციალური მუშაობის

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (2021) მიერ განსაზღვრულია სწავლების ძირითადი მახასიათებლები და შედეგად მიღებული მინიმალური კომპეტენციები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სტუდენტებს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრით, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის, სოციალური მუშაობის ძირითადი პრინციპებისა და თეორიების გაცნობიერებას. ადგილობრივ კონტექსტში ჩატარებული კვლევის თანახმად, სოციალური მუშაობის კურსდამთავრებულებს ხშირ შემთხვევაში უჭირთ სამუშაო ადგილზე ადაპტაცია, რადგანაც ადგილობრივი პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია იმ თეორიული მიდგომებისგან, რომლებიც სოციალური მუშაობის სწავლებისას გამოიყენება. კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ მათ ძირითად საჭიროებას უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ, მაკრო სოციალური მუშაობის განხორციელებისთვის საჭირო უნარების განვითარება და ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისი კომპეტენციების დახვეწა წარმოადგენდა (ხვედელიძე, 2018). აღნიშნულ კვლევაში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საჭიროებებზე. უფრო მეტად კი კვლევა შეეხება იმ სირთულეებს, რომლებიც გამოვლინდა სოციალური მუშაკების დასაქმების პროცესში. შესაბამისად, სწავლის პროცესში არსებული გამოწვევები ძირითადად შეფასებულია რეტროსპექტიული თვალსაზრისით სწავლის დასრულების შემდგომ და არ ასახავს იმ პირვანდელ შეფასებებს, რომლებიც თავს იჩენს უშუალოდ სწავლის პროცესში.

განხილული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში გატარდა გარკვეული ცვლილებები, თუმცაღა კვლავაც მრავალი გამოწვევა იჩენს თავს. საკითხის აქტუალობის მიუხედავად, ადგილობრივ კვლევებში ნაკლებადაა გაანალიზებული ის საჭიროებები თუ შეფასებები, რომლებიც ვლინდება უშუალოდ სწავლის პროცესში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ რა საჭიროებები არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მეოთხე კურსის სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. დასმული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1) შევისწავლოთ სწავლების ხარისხთან დაკავშირებული სირთულეები;

2) გამოვავლინოთ, რა სახის მხარდაჭერა ესაჭიროებათ სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის წინა ეტაპზე;

3) ვიკვლიოთ მოსალოდნელ ტრანზიციის პროცესთან დაკავშირებული ემოციური განწყობილებები.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუსჯგუფი. აღნიშნული მეთოდების საშუალებით, გამოვიკვლიეთ ის უნიკალური გამოცდილებები, რომლებიც თავს იჩენს სტუდენტთა შემთხვევაში და

მნიშვნელოვანია საკითხის სიღრმისეული შესწავლის კუთხით. კვლევის გენერალური ერთობლიობა მოიცავდა 44 სტუდენტს, ჯამში კი კვლევაში მონაწილეობა მიიღო 22-მა რესპონდენტმა. ფოკუსჯგუფსა და სიღრმისეულ ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა რესპონდენტებმა. წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ არაალბათური შერჩევის სახეობა - მიზნობრივი შერჩევა, გამოვკითხეთ ტიპური, ყოვლისმომცველი გამოცდილების მქონე სტუდენტები. კვლევის მონაწილეები შერჩეულნი იყვნენ სოციალური მუშაობის მეშვიდე სემესტრის სტუდენტთა სიიდან. შერჩევაში გათვალისწინებულია სქესის ნიშნით განაწილებაც. გენერალური ერთობლიობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ მდედრობითი სქესის სტუდენტები, შესაბამისად, კვლევის 20 რესპონდენტი მიეკუთვნება მდედრობით სქესს. კვლევის მეთოდოლოგიურ შეზღუდვას წარმოადგენს, რომ კვლევაში მონაწილეობა არ მიუღია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მხარესა და პროფესურას, რის გამოც ვერ მოხდა მათი აზრის გათვალისწინება, შესაბამისად, კვლევა ეფუძნება მხოლოდ სტუდენტების შეფასებებს.მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეზღუდვას წარმოადგენს, რომ კვლევაში მონაწილეობა არ მიუღიათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მხარესა და პროფესურას, რის გამოც ვერ მოხერხდა მათი აზრის გათვალისწინება, შესაბამისად, კვლევა ეფუძნება მხოლოდ სტუდენტების შეფასებას.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს, რომ სიღრმისეული ინტერვიუების უმეტესი ნაწილი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ამასთანავე, კვლევის პროცესში არ გაანალიზებულა ფაკულტეტზე არსებული კურიკულუმი, რაც ქმნის პრობლემას სტუდენტთა საჭიროებების ჯეროვნად გაანალიზების პროცესში.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის მრავალფეროვანი საჭიროებები, რომლებიც სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს აქვთ. უმთავრესი გამოწვევა, რომელიც სტუდენტების მიერ დასახელდა, უკავშირდება საბაკალავრო ნაშრომის წერას. კერძოდ კი, სტუდენტებში ეს პროცესი დიდ დაბნეულობასა და გაურკვევლობას იწვევს.

"ჯერჯერობით არ მაქვს მზაობა, მაგრამ როდესაც პირისპირ დავდგები იმ საკითხის წინაშე, რომ უნდა დავიწყო მუშაობა, ალბათ, უფრო მეტი მზაობა მექნება" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

გასათვალისწინებელია, რომ კვლევის რესპონდენტები სწავლის მეშვიდე სემესტრში იმყოფებიან, შესაბამისად, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით წარმოადგენს ერთგვარ წინასწარგანწყობებს, რადგანაც საბაკალავრო ნაშრომის კრედიტს ისინი მომდევნო სემესტრში აიღებენ. ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები ხელმძღვანელის დახმარებით გაეცნობიან საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის სპეციფიკას, შეფასების კრიტერიუმებსა თუ ნაშრომის დაცვის წესებს.

თუმცაღა, სტუდენტების აღნიშვნით, უმჯობესი იქნება, თუკი საბაკალავრო ნაშრომისთვის მომზადებას დაიწყებდნენ მეშვიდე სემესტრიდან, რესპონდენტების თქმით, ფაკულტეტის სხვა მიმართულებაზე იკითხება სპეციალური კურსი - "საბაკალავრო კვლევის დიზაინი" -

რომელიც ერთგვარად ამზადებს სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე და სწორედ მეშვიდე სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. ამ კურსის ანალოგი სოციალური მუშაობის პროგრამაში არ არსებობს, ამიტომაც სტუდენტები ხაზს უსვამენ აღნიშნული კურსის დამატების აუცილებლობას სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამაში.

სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული ინტერესი იმ საკითხის მიმართ, რომელზეც შეძლებენ ნაშრომის დაწერას. სოციალურ მუშაობაში ეს დიდ პრობლემად მიაჩნიათ, რადგან, მათი აზრით, საკვლევი პრობლემები არც ისე მრავალფეროვანია და ხშირად მეორდება. მათი შეფასებით, რთულია ახალი საკვლევი მიმართულებების მოძიება. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაობის სფეროსთვის რელევანტური კვლევითი საკითხები ფართო სპექტრს მოიცავს. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, სამიზნე ჯგუფების მრავალფეროვნებით, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიის გლობალური ხასიათით. სოციალური მუშაობისთვის რელევანტური კვლევითი მიმართულებები მოიცავს - სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა კვლევას, ახალი ინტერვენციებისა და სერვისების ეფექტურობის შეფასებას, სოციალური პოლიტიკის ანალიზს, თავად სოციალურ მუშაკთა საჭიროებების შეფასებას, მათი ღირებულებების კვლევასა და სხვა (Alston, 2018).

შემდგომი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, უკავშირდება სტუდენტების დასაქმების საკითხს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისთვის დასაქმების პრობლემა ყველაზე აქტუალური სწორედ სწავლის დასრულების ბოლო ეტაპზეა.

"მანამდე, პირველ/მეორე კურსზე დასაქმებაზე არც ვფიქრობდი, სწავლაზე ვიყავი კონცენტრირებული, მაგრამ მეოთხე კურსზე დადგა საჭიროება იმის, რომ დამოუკიდებელი ვიყო ფინანსურად" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

სოციალური მუშაობის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსი განსაზღვრავს, რომ სტუდენტები 10 კვირის განმავლობაში 10 საათს პრაქტიკის ორგანიზაციაში უნდა ატარებდნენ, რაც ხშირად ქმნის დამატებით სირთულეს მათი დასაქმების პროცესში.

"პრაქტიკები რომ გვაქვს, ძალიან კარგია, მაგრამ დასაქმების მხრივ ძალიან დამაზარალა, ეგეთი გრაფიკი არ არის ხოლმე მისაღები დამსაქმებლებისთვის" (ფოკუსჯგუფის მონაწილე).

თავად სტუდენტები გამოსავალს ხედავენ იმაში, რომ მიეცეთ შესაძლებლობა დასაქმდნენ თავად პრაქტიკის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით მეოთხე კურსზე, მაშინ, როდესაც ბაკალავრის ხარისხის მიღებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი.

"უკეთესი იქნება სამომავლოდ საშუალება მოგვეცეს პრაქტიკის ორგანიზაციაში დასაქმების, არა პირდაპირ სოციალურ მუშაკად, არამედ მაგალითად პერსონალურ ასისტენტად" (ფოკუსჯგუფის მონაწილე).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „კანონი სოციალური მუშაობის შესახებ", რომელიც სოციალური მუშაკის პროფესიული კვალიფიკაციისათვის ძირითად მოთხოვნად განსაზღვრავს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხის ან ამ კანონით

გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატის ფლობას (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2018). შესაბამისად, კანონის თანახმად, ბაკალავრის ხარისხის მოპოვებამდე დაუშვებელია სოციალურ მუშაკად დასაქმება.

ამასთანავე, სტუდენტების უმრავლესობა საუბრობს იმ დადებით მხარეებზე, რომლებიც პრაქტიკის კურსს აქვს. პირველ რიგში, ეს უკავშირდება სოციალური კავშირების დამყარებასა და მომავალში დასაქმების გაზრდილ შესაძლებლობებს. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათი მოლოდინები გამართლდა და პრაქტიკამ მისცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან მუშაობის სპეციფიკას და აეთვისებინათ საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

"პრაქტიკა უფრო ეფექტურია სტუდენტებისთვის ცოდნის მიღების მხრივ და ეს პროცესი არ არის რიგითი ლექცია-სემინარი" (ფოკუსჯგუფის მონაწილე).

იშვიათად, თუმცა მაინც აღნიშნავენ, რომ პრაქტიკის კურსი არც ისე მრავალფეროვანი იყო. რამდენიმე შემთხვევაში ვლინდება, რომ პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები იღებდნენ დამატებით თეორიულ ცოდნას და ნაკლებად ჰქონდათ პრაქტიკული, სოციალური მუშაობისთვის რელევანტური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჭიროება, რომელიც ვლინდება სტუდენტების სასწავლო პროცესში, უკავშირდება სოციალური მუშაობის პროგრამაში საგნების სიმცირეს, რის გამოც სტუდენტთა უმრავლესობას დამამთავრებელ კურსზე უწევს სხვა მიმართულებების საგნების აღება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არც საინტერესოა და არც პრაქტიკულად ღირებული მათთვის.

"მეშვიდე სემესტრში ფაქტობრივად სოციალური მუშაობის საგნები ველარ ავიღე, რადგან ყველა გავლილი მქონდა" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

სტუდენტები აღნიშნავენ საგნების დამატების საჭიროებას პროგრამაში. ისინი გამოხატავენ ინტერესს ისეთი საკითხების მიმართ, რომლებიც ამჟამად არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით.

"არ არის მრავალფეროვნება საგნების მხრივ, ახალ თემატიკას არ გვთავაზობს, საინტერესო იქნებოდა, თუნდაც პროფესიული გადაწვის შესახებ მეტის გაგება" (ფოკუსჯგუფის მონაწილე).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა უკავშირდება ინგლისური ენის ცოდნის დონეს. ენობრივი ბარიერები, რომლებიც სტუდენტთა ნაწილს აქვს, იწვევს სირთულეებს სწავლის პროცესში. ინგლისური ენის ცოდნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას, რადგანაც, სტუდენტების თქმით, ქართულ ენაზე წარმოდგენილი ლიტერატურა მწირია, ინგლისურენოვანი მასალების თარგმნა კი პრობლემურია სტუდენტთა გარკვეული ნაწილისთვის სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკმარისად არცოდნის გამო.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე ბოლო წლებში გააქტიურდა გაცვლითი პროგრამები. შესაბამისად, სოციალური მუშაობის სტუდენტებს მიეცათ უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობა. თუმცაღა, გაცვლითი პროგრამების არსებობის

მიუხედავად, სტუდენტები მაინც ნაკლებად ერთვებიან კონკურსში. საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების უმთავრესი პირობაა სტუდენტი ფლობდეს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. სოციალური მუშაობის სტუდენტების უმრავლესობა კი არ ფლობს აღნიშნულ ცნობას, შესაბამისად, ენობრივი ბარიერი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევა.

სტუდენტების მეორე ნაწილისთვის განსაკუთრებით აქტუალურია უკვე არსებული ინგლისური ენის ცოდნის გამდიდრება და სრულყოფა სოციალური მუშაობისთვის რელევანტური ტერმინოლოგიითა და დარგობრივი მახასიათებლებით. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაობის კურსზე იკითხებოდა საგანი "დარგობრივი ინგლისური ენა სოციალური მუშაკებისათვის", რომლის არჩევაც სტუდენტებს ამჟამად აღარ შეუძლიათ. რესპონდენტების შეფასებით, როდესაც აღნიშნული საგანი იკითხებოდა კურსზე, სტუდენტები მაინც ვერ აღწევდნენ იმ მიზანს, რომელიც მნიშვნელოვანია მათთვის. სტუდენტებისთვის პრიორიტეტულია, რომ ინგლისური ენის კურსი სთავაზობდეთ მათ სოციალური მუშაობის დარგობრივი სპეციფიკის შესწავლასა და პროფესიული ტერმინოლოგიის გააზრებას.

ასევე, ზემოთხსენებული კურსის შედეგად გაუმჯობესებული ცოდნა და უნარები სასარგებლო იქნება იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გაცვლით პროგრამებში. ინგლისური ენის კურსი მოამზადებს მათ პროფესიულ ჭრილში და გაუადვილებს უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლის პროცესს.

რაც შეეხება შეფასების სისტემას, სტუდენტების უმრავლესობა გამოხატავს კმაყოფილებას ამ კუთხით და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით კარგია, როდესაც სილაბუსი ითვალისწინებს თვითრეფლექსიისა და პრეზენტაციის აქტივობას. თუმცაღა, რესპონდენტების შეფასებით, სილაბუსები საჭიროებს განახლებას, რათა კონკრეტულ სასწავლო კურსებს უკეთესად მოერგოს. დასაქმებული სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ უმჯობესი იქნება, თუკი შეფასების სისტემა შესთავაზებთ შეფასების ალტერნატიულ შესაძლებლობებს.

"დასწრებისა და აქტივობის გარეშე უნდა იყოს ალტერნატივა ამ ქულების მოპოვების, რათა დასაქმებაში ხელი არ შეგვეშალოს" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

ასევე, თავს იჩენს კურსის საკითხავ მასალასთან („რიდერი“) დაკავშირებული სირთულეებიც. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უმეტესწილად დამატებითი ლიტერატურა წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, რაც უკავშირდება ენობრივ ბარიერებს. თუმცაღა, გარდა ამისა, საჭიროა ქართულ ენაზე თარგმნილი მასალების ადაპტირება.

"რიდერები ხშირად პირდაპირ არის გადმოტანილი ინგლისურიდან, ზოგჯერ ძალიან მარტივი საკითხი ძალიან რთულად არის წარმოდგენილი" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

სტუდენტების თქმით უმჯობესი იქნება, თუკი საკითხავ მასალაში დაემატება ადგილობრივი პრაქტიკის მაგალითები და თანამედროვე კვლევის ანგარიშების ანალიზი.

რაც შეეხება ლექტორებთან კომუნიკაციასა და მათ შეფასებას, უმეტესწილად სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ ლექტორების მიმართ, ხაზს უსვამენ მათ პროფესიონალიზმსა და

გამოცდილებას, გრძნობენ დიდ მხარდაჭერას სასწავლო პროცესში და სამომავლოდ, დასაქმების მხრივ, პოტენციურ დამსაქმებლებადაც მიიჩნევენ, თუმცა ისურვებდნენ, რომ გაიზარდოს მათი რაოდენობა.

"მნიშვნელოვანია, პრაქტიკის ორგანიზაციებიდან ახალი სახეების მოწვევა და მათგან პრაქტიკული გამოცდილების მიღება" (ფოკუსჯგუფის მონაწილე).

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკა 5-ის ფარგლებში მიმდინარე წელს მოიწვიეს ახალი ლექტორი. სტუდენტები დადებითად აფასებენ აღნიშნულ სიახლეს და მათი აზრით, სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდა.

უნივერსიტეტის დასრულებასთან დაკავშირებით სტუდენტების ემოციური განწყობილებები ორად გაიყო. ერთი ნაწილი მოუთმენლად ელოდება სწავლის დასრულებასა და სამსახურის დაწყებას. მეორე ნაწილს კი არ სურს ამ წლების ასე მალე დასრულება. თვლიან, რომ არ არიან მზად ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასასვლელად. აღნიშნავენ, რომ პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების გამო, დრო უჩვეულოდ სწრაფად გავიდა.

"არ მჯერა ისე მალე გავიდა ეს წლები, ონლაინ რეჟიმმა დამაკარგვინა 2 წელი" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

კვლევები ადასტურებს, რომ კოვიდ პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლის მეთოდმა უარყოფითი გავლენა იქონია განათლების ხარისხზე. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული რვა კვლევის ანგარიშის სისტემური ანალიზი აჩვენებს მნიშვნელოვან დანაკარგებს სტუდენტების სწავლის პროცესში. აღნიშნული დანაკარგები განსხვავებულია სტუდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (Donnelly & Patrinos, 2021).

სტუდენტები ასევე საუბრობენ ახლო სამომავლო გეგმებზე უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ. უმეტესობა აღნიშნავს, რომ მალევე სურს თავისი პროფესიით დასაქმება.

"ძალიან მიხარია, რომ ახალი ეტაპი იწყება, ეს დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, ფაქტობრივად ადამიანის სიცოცხლეა შენზე დამოკიდებული" (სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი).

სტუდენტთა უმრავლესობას სურს მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ, უმეტესად აპირებენ განათლების შეძენას მომიჯნავე სფეროებში, ცოდნის მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით. ამასთანავე, ნაწილი განიხილავს სხვა პროფესიის შესწავლას, რომელსაც არ აქვს კავშირი სოციალურ მუშაობასთან.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს აქვთ მნიშვნელოვანი საჭიროებები სასწავლო პროცესში, გამოიკვეთა სირთულეები, რომლებიც უკავშირდება საბაკალავრო ნაშრომის წერას, ლექცია-სემინარების განრიგისა და სამსახურის შეთავსებას, პრაქტიკის კომპონენტს, სასწავლო თეორიულ კურსებს, საკითხავ მასალებსა და ტრანზიციის პროცესის თანმხლებ ემოციურ ფონს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული

პრობლემები ნამდვილად აქტუალურია და სტუდენტებს სჭირდებათ განსაკუთრებული მხარდაჭერა უნივერსიტეტში სწავლის ბოლო ეტაპზე, გაზრდილი პასუხისმგებლობებისა და მოახლოებული ტრანზიციის ფონზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე კუთხით მუშაობა:

1. საჭირო ინფორმაციის მიწოდება საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით სწავლის ადრეულ ეტაპზევე - მნიშვნელოვანია "საბაკალავრო კვლევის დიზაინის" კურსის დამატება, რომელიც განკუთვნილი იქნება მეშვიდე სემესტრში მყოფი სტუდენტებისთვის. ეს შეამცირებს იმ უარყოფით წინასწარგანწყობებს, შფოთვასა და სტრესს, რომელიც ვლინდება კვლევის მონაწილეებში. შედეგად, კურსი გაზრდის სტუდენტთა თვითდაჯერებასა და ინფორმაციულობის დონეს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესების, საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის, საჯაროდ წარდგენის პროცედურებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც გაუადვილებს სწავლის ბოლო სემესტრში მყოფ სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს.
2. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების გაზრდა საკითხავი მასალების გაუმჯობესებითა და პროგრამაში ახალი თეორიული კურსების დამატებით. პირველ რიგში, საყურადღებოა, გადამოწმდეს ცალკეული კურსის ფარგლებში წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურა რამდენად გამართულია ენობრივი თუ ტექნიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხო ენიდან თარგმნილი მასალების ადაპტირება და მათი მორგება პროფესიულ ტერმინოლოგიაზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამატებითი ლიტერატურის თარგმნის ხელშეწყობა, ეს გაზრდის სტუდენტთა ხელმისაწვდომობას პროფესიულ სიახლეებსა თუ კვლევის ანგარიშებზე. საბაკალავრო პროგრამის გამდიდრება ახალი თეორიული კურსების დამატებით გაზრდის სტუდენტთა ინტერესს სწავლის მიმართ და ამასთანავე გააცნობს მათ ახალ პრაქტიკულ მიდგომებს, რომლებიც ინერგება სოციალური მუშაობის სფეროში;
3. ინგლისური ენის კურსის აღდგენა და განახლება - მნიშვნელოვანია არამხოლოდ ამ კურსის დამატება სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამაში, არამედ მისი მოდიფიცირება სტუდენტთა საჭიროებების შესაბამისად. აუცილებელია, რომ კურსი ეხმარებოდეს სტუდენტებს დარგობრივი სპეციფიკის გააზრებასა და სფეროსთვის რელევანტური ტერმინოლოგიის ათვისებაში. ეს მოამზადებს სტუდენტებს იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც საჭიროა ინგლისურენოვან წყაროებზე მუშაობისა და საზღვარგარეთ სწავლის პროცესში.

აღნიშნული სირთულეების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს მომავალი სტუდენტებისთვის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც მორგებული იქნება მათ საჭიროებებსა თუ ინტერესებს. კვლევის ფარგლებში აღნიშნული გამოწვევების მოგვარება მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარებისათვის, რადგანაც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს სოციალური მუშაკების უდიდეს წილს ქვეყანაში. მნიშვნელოვანია ამ საკითხზე კვლევის გაგრძელება სტუდენტებისთვის მხარდამჭერი სერვისების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

Alston, M. (2018). Research for Social Workers: An introduction to methods (4th ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9781003117094

Brookera, A., Brooker, S., & Lawrencea, J. (2017). First year students' perceptions of their difficulties. Student Success, 8, 49-62.

Dietrich, H. (2012). Youth unemployment in Europe theoretical considerations and empirical findings. Friedrich-Ebert-Stiftung.

Donnelly, R., Patrinos, H.A. Learning loss during Covid-19: An early systematic review. Prospects 51, 601–609 (2022). https://doi.org/10.1007/s11125-021-09582-6

Fook, C., & Sidhu, G. (2015). Investigating Learning Challenges Faced by Students in Higher Education. Procedia - Social and Behavioral Sciences, 186, 604-612.

Frost, E., Hojer, S., & Campanini, A. (2013). Readiness for practice: Social work students' perspectives in England, Italy and Sweden.

Hay, K. (2012). From student to employee: A conversation about transition and readiness for practice in a statutory social work organisation. Social Work Now.

McGhie, V. (2017). Entering university studies: identifying enabling factors for transition from school to university. Higher Education, 73, 407 – 422.

United Nations. (1948). Universal Declaration of Human Rights.

Vieira, D., Mutize, T., & Chinchilla, J. (2020). Understanding access to higher education in the last two decades. UNESCO.

აბაშიძე, გ. (2017). უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში (სამაგისტრო თეზისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). თბილისი, საქართველო.

ბაბილოძე, მ. (2017). ქართველი სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიები უცხოურ საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს მიღმა სოციალურ გარემოში (სამაგისტრო თეზისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). თბილისი, საქართველო.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2020). ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის რეფორმების მხარდაჭერის პროექტი. თბილისი, საქართველო.

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. (2013). უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით. თბილისი, საქართველო.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2018). საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ. თბილისი, საქართველო.

საქართველოს რეფორმების ასოციაცია. (2018). საქართველოს განათლების სისტემა სამაგიდო კვლევა. თბილისი, საქართველო.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2011). სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები. თბილისი, საქართველო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში სტუდენტთა რაოდენობა სწავლების სახეების მიხედვით. თბილისი, საქართველო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). სამუშაო ძალის მაჩვენებლები ასაკობრივ ჭრილში. თბილისი, საქართველო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები. თბილისი, საქართველო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა საქართველოში. თბილისი, საქართველო.

საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები. (2017). ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა უმაღლესი განათლების და სტაჟირების საკითხებზე საქართველოში. ფრიდრიხ ერბერტის ფონდი. თბილისი, საქართველო.

სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო. (2021). სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები. თბილისი, საქართველო.

ღია საზოგადოების ფონდი. (2015). სოციალური მუშაობის განვითარება და გამოწვევები საქართველოში. თბილისი, საქართველო.

ჩხატარაიშვილი, დ., ქვარცხავა, თ., & ჩხაიძე, მ. (2019). რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების ურბანულ სივრცეში სოციალიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო.

ხვედელიძე, რ. (2018). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამების (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) კურსდამთავრებულთა ძირითადი გამოწვევები, სოციალური მომსახურების სააგენტოში (სამაგისტრო თეზისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). თბილისი, საქართველო.